საბარათე ინსტრუმენტის მომსახურების ხელშეკრულება

ქ. თბილისი | თარიღი: --/--/2024

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. მიკრობანკი

სახელწოდება:	სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში მიკრობანკი)
ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2

წარმომადგენელი:	032 2-50-50-02
ტელეფონი:	info@mbc.com.ge
ელ. ფოსტა:	www.mbc.com.ge
ვებ-გვერდის მისამართი:	404967078
საიდენტიფიკაციო კოდი:	საქართველოს ეროვნული ბანკი
საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2
საზედამხედველო ორგანოს ვებ-გვერდის მისამართი:	www.nbg.gov.ge
მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ნომერი:	472

1.2. ბარათის მფლობელი

სახელი, გვარი/დასახელება:	
ფაქტიური მისამართი:	
რეგისტრაციის/იურიდიული მისამართი:	
პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
ტელეფონი:	
ელ. ფოსტა:	
საბანკო რეკვიზიტები:	
წარმომადგენელი:	

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიკრობანკი გადასცემს, ხოლო ბარათის მფლობელი იბარებს საკრედიტო საგადახდო ბარათს (ბოლო ოთხი ციფრი: ---- (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბარათი“) - ლოკალური საბარათე სქემით, (რომლის მიხედვით საბარათე ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული პროვაიდერის საბარათე ინსტრუმენტის მიმღებ მოწყობილობებში) და პინ-კოდს, დალუქულ კონვერტში.

2.2. აღნიშნული ბარათით შესაძლებელია მიკრობანკის სერვის ცენტრებში, სს „თიბისი ბანკის“ და სს „ბაზისბანკის“ (შემგდომში „პარტნიორი ბანკები“) ბანკომატებში თანხის განაღდება, აგრეთვე, პარტნიორი ბანკების პოს-ტერმინალების საშუალებით, სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე გადახდის ოპერაციის წარმოება.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 3. ბარათის მოქმედების ვადა და ვადის გასვლის გამო, ახალი ბარათის დამზადების ღირებულება

3.1. ბარათის მოქმედების ვადა შეადგენს 4 წელს.

3.2. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.

3.3. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ბარათის პირველადი გაცემა ხდება უფასოდ, გარდა ბარათზე საკრედიტო ლიმიტის გააქტიურების შემთხვევისა, რა დროსაც ბარათის გაცემის საფასური განისაზღვრება საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით.

3.4. ბარათის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ყოველი ახალი ბარათის დამზადების, ასევე, დაკარგული, მოპარული, მითვისებული, დაზიანებული ან ახალი პინ-კოდის გაცემის გამო აღდგენილი ბარათის ღირებულება

შეადენს 10 ლარს.

მუხლი 4. ბარათიდან თანხის განაღდების საკომისიო და ლიმიტი

4.1. ბარათიდან თანხის განაღდება შესაძლებელია მიკრობანკის სალაროში და მიკრობანკის პარტნიორი ბანკების ბანკომატებში შემდეგი პირობებით:

4.1.1. მიკრობანკის სალაროში თანხის განაღდებისას, ლიმიტის და საკომისიოს გარეშე;

4.1.2. მიკრობანკის პარტნიორი ბანკების ბანკომატებში თანხის განაღდების საკომისიო შეადგენს 2%;

4.1.3. მიკრობანკის პარტნიორი ბანკების ბანკომატებში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი შეადგენს 1000 ლარს.

4.2. ბარათზე საკრედიტო ლიმიტის გააქტიურების შემთხვევაში, საკომისიო რეგულირდება საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით.

მუხლი 5. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდა, გადახდის საკომისიო და ლიმიტი

5.1. ბარათით გადახდის ოპერაცია (ბარათზე დაშვებულია მხოლოდ ონლაინ ოპერაციები) შესაძლებელია განხორციელებულ იქნას სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, პარტნიორი ბანკების პოს-ტერმინალებზე.

5.2. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, ბარათით გადახდის ლიმიტი შეადგენს 1000 ლარს, საკომისიოს გარეშე.

5.3. ბარათით გადახდის ოპერაცია შეზღუდულია აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში. აღნიშნულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების განხორციელების შესახებ ბარათის მფლობელის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკის ნებისმიერ სერვის ცენტრს ან დაუკავშირდეს ქოლ-ცენტრს, ტელეფონის ნომერზე 2 50 50 02 და მოითხოვოს აღნიშნული თანხმობის გაუქმება.

5.4. ბარათით განხორციელებული ოპერაციების ასახვა ანგარიშზე ხდება მათი განხორციელებიდან მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. საბარათე ანგარიშიდან ამონაწერის გაცემა

6.1. შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაცია და/ან ანგარიშის ამონაწერი გაიცემა მიკრობანკის სერვის ცენტრებში, ბარათის მფლობელის მომართვისთანავე, წინა სამუშაო დღის მდგომარეობით.

მუხლი 7. ბარათის მომსახურებასთან დაკავშირებული ძირითადი უსაფრთხოების წესები და მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ბარათის მფლობელი ვალდებულია, გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია პინ-კოდი.

7.2. ბარათი და პინ-კოდი უნდა ინახებოდეს ერთმანეთისგან განცალკევებით.

7.3. უსაფრთხოების მიზნით, დაუშვებელია პინ-კოდის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, მათ შორის ნათესავებზე, მიკრობანკის თანამშრომლებზე, სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანამშრომლებზე.

7.4. დაუშვებელია პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება.

7.5. დაუშვებელია პინ-კოდის გამჟღავნება ელ. ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

7.6. პინ-კოდი გამოიყენება მხოლოდ ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში.

7.7. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შენაძენის საფასურის ბარათით გადახდა ხორციელდება პოს-ტერმინალის მეშვეობით. პოს-ტერმინალზე შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქცია საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას, რაც ზრდის ბარათის მფლობელისა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანხების უსაფრთხოების ხარისხს.

7.8. აუცილებელია ბარათის მფლობელმა მოითხოვოს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტში საბარათე გადახდის ოპერაციები განხორციელდეს მისი თანდასწრებით და არ გაატანოს ბარათი მომსახურე პერსონალს.

7.9. შენაძენის საფასურის გადახდის დროს, ტრანზაქციის დადასტურებისას, ბარათის მფლობელმა უნდა გააკონტროლოს ქვითარზე მითითებული თანხის და თარიღის სისწორე და მოითხოვოს ქვითრის ასლი. ბარათის მფლობელი უნდა დარწმუნდეს, რომ პინ-კოდის შეყვანისას მისი კონფიდენციალურობის უფლებები არ ირღვევა.

7.10. უსაფრთხოების მიზნით, დაუშვებელია ბარათის გადაცემა მესამე პირისათვის.

7.11. პინ-კოდის დაკარგვის/დავიწყების შემთხვევაში, საჭიროა ახალი ბარათის დამზადება.

7.12. ბარათის დაკარგვის, მოპარვის, მითვისების ან მისი საშუალებით არაავტორიზებული ოპერაციის განხორციელებაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ასევე თუ პინ-კოდი ან ბარათის ზედაპირზე განთავსებული

ინფორმაცია ცნობილი გახდა მესამე პირთათვის, ბარათის მფლობელი ვალდებულია, ბარათის დასაბლოკად დაუყოვნებლივ მიმართოს მიკრობანკს, სამუშაო საათების განმავლობაში სერვის ცენტრებს, ქოლ-ცენტრს ტელეფონის ნომერზე 2 50 50 02. არასამუშაო საათებში ბარათის დაბლოკვის მოთხოვნით, ბარათის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს საპროცესინგო ცენტრის ქოლ-ცენტრს, ტელეფონის ნომერზე: 2 777 222. მიკრობანკი ვალდებულია, ბარათის მფლობელის მომართვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განახორციელოს ბარათის დაბლოკვასთან დაკავშირებული შესაბამისი ქმედება. ბარათის მფლობელის მიერ, ბარათის დაკარგვის, მოპარვის, მითვისების ან მისი საშუალებით არაავტორიზებული ოპერაციის შესახებ მიკრობანკის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი ბარათით განხორციელებულ გადახდებსა და ზიანზე.

7.13. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია მიკრობანკს მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი და ბარათის მფლობელი არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ მიკრობანკს შეატყობინებს ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადაში.

7.14. ბარათის მფლობელი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საბარათე ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა, გარდა მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევისა.

7.15. მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი და ბარათის მფლობელი სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი დანაშაულებრივი ქმედებით, ასევე მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით.

7.16. მიკრობანკი არ აგებს პასუხს და ბარათის მფლობელი სრულად არის პასუხისმგებელი მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული ბარათის, ასევე მის მიერ ბარათის უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბარათის მფლობელის ვალდებულებების დარღვევით.

7.17. მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე.

7.18. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი აანაზღაუროს არასანქცირებული და არაავტორიზებული ოპერაციების შედეგად გადახდილი თანხები და მიყენებულ ზიანი.

7.19. ბარათის მფლობელის მიერ, ამ ხელშეკრულებით ან ბარათით სარგებლობის წესებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიკრობანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაბლოკოს ბარათი (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

მუხლი 8. ბანკომატის ან სხვა მოწყობილობის მიერ ბარათის დაკავების შემთხვევაში მოქმედი პროცედურები

8.1. ბანკომატის ან სხვა მოწყობილობის მიერ, ბარათის დაკავების შემთხვევაში, ბარათის მფლობელი უკავშირდება მიკრობანკის ქოლ-ცენტრს, ტელეფონის ნომერზე 2 50 50 02 და აკეთებს ზეპირსიტყვიერ განაცხადს, ბარათის ბანკომატში დაკავების შესახებ ან აგზავნის შეტყობინებას 1.1. პუნქტში მითითებულ ელ. ფოსტაზე, ან აკეთებს შესაბამის წერილობით განაცხადს მიკრობანკის ნებისმიერ სერვის ცენტრში.

8.2. ბარათის მფლობელს ბარათი გადაეცემა მისთვის სასურველ, წინასწარ დაფიქსირებულ მიკრობანკის სერვის ცენტრში, მას შემდეგ რაც ბანკომატის მომსახურე ბანკი გადასცემს დაკავებულ ბარათებს მიკრობანკს. ბარათების დაბრუნებისთვის მაქსიმალური ვადაა 35 კალენდარული დღე.

8.3. ბარათის მიღება შესაძლებელია მომსახურე ბანკში, ბანკომატში დარჩენილი ბარათის მფლობელისთვის გადაცემის შესახებ მიკრობანკის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

8.4. ბარათის მფლობელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, 60 (სამოცი) კალენდარული დღის შემდგომ, ბარათი უქმდება, თუ ბარათის მფლობელთან კომუნიკაციის შედეგად არ იკვეთება ვადის გაგრძელების საჭიროება.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით.
9.2. მიკრობანკის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის ლიმიტების, საკომისიოების, ღირებულების და ბარათის გამოყენების სხვა პირობების ცალმხრივი ცვლილების შემთხვევაში, მიკრობანკი, ერთი თვით ადრე უზრუნველყოფს ბარათის მფლობელის შეტყობინებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მობილურ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში, ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განაცხადოს უარი და მოშალოს ხელშეკრულება, ყოველგვარი საკომისიოს, ხარჯის და პირგასამტეხლოს გარეშე (გარდა ბარათთან დაკავშირებული მიმდინარე ფინანსური ვალდებულებებისა). აღნიშნულ ვადაში, ბარათის მფლობელის მიერ, შეცვლილ პირობებთან დაკავშირებით უარის განუცხადებლობის შემთხვევაში, შეცვლილი პირობები ჩაითვლება ბარათის მფლობელის მიერ დადასტურებულად.

მუხლი 10. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა
10.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, ერთი თვით ადრე მეორე მხარის შეტყობინების გზით.
10.2. ბარათის მფლობელის ინიციატივით, ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს ბარათთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება და ბარათი გადასცეს მიკრობანკს.

მუხლი 11. ბარათით წარმოებული ოპერაციების საჩივრის განხილვის პროცედურა და ვადები
11.1. ბარათის მფლობელი ბარათით განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებულ საჩივარს აფიქსირებს მიკრობანკის სერვის-ცენტრებში, წერილობითი ფორმით, ოპერაციის ჩატარების ადგილის, სავარაუდო დროისა და თანხის მითითებით. მიკრობანკი ვალდებულია განიხილოს ბარათის მფლობელის საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, მიკრობანკი ვალდებულია სატელეფონო კომუნიკაციით აცნობოს ბარათის მფლობელს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზი. საჩივარზე გადაწვეტილების მიღებისა და ბარათის მფლობელისთვის გაცნობის ვადა არ აღემატება საჩივრის მიღებიდან 55 დღეს.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები
12.1. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს მიკრობანკის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
12.2. მხარეთა შორის ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ხდება ამ ხელშეკრულების 1.1. და 1.2. პუნქტებში მითითებულ რეკვიზიტებზე.
12.3. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

ბარათის მფლობელი ---------- მიკრობანკის წარმომადგენელი ----------